საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას თორმეტი წლის ორ თებერვალს, მე, ნოტარიუსს **ბესიკ სეხნიაიძეს**, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №7-ში, მომმართა მოქალაქე **კობა აღლემაშვილმა**, რომელმაც განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს მოქალაქე გიორგი ბოკუჩავას. მე შევამოწმე **კობა აღლემაშვილის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი რომ ჩემს სანოტარო ბიუროში მე, ნამდვილად **კობა აღლემაშვილმა** (დაბ. 23.02.1983 წელს ახალციხეში, პ/მ №ბ 1141378 პირადი №47001009393 გაც. 25.02.2008 წელს სრს ახალციხის სამსახურის მიერ. მცხ. ახალციხე ქ. ვალე 9 აპრილის ქ. №9) მომმართა. მე შევამოწმე მისი პირადობა და ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი რომ ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, გარიგების შინაარსი და შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მიმნდობს. მან წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ წინამდებარე მინდობილობა სუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდგომ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თორმეტი წლის ორ თებერვალს, ამ მინდობილობით **კობა აღლემაშვილმა** (დაბ. 23.02.1983 წელს ახალციხეში, პ/მ №ბ 1141378 პირადი №47001009393 გაც. 25.02.2008 წელს სრს ახალციხის სამსახურის მიერ. მცხ. ახალციხე ქ. ვალე 9 აპრილის ქ. №9) შემდეგში **„მიმნდობი“**, **გიორგი ბოკუჩავას** (დაბ. 21.02.1987 წელს თბილისში, პ/მოწმობა №ა 0510194 პირადი №01017027978, გაც. 21.06.2004 წელს მთაწმინდა კრწანისის შს სამმართველოს მიერ, მცხ. თბილისი, შიო მღვიმელის №13), შემდეგში „მინდობილი” ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:
იყოს ჩემი, წარმომადგენელი, ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, მათ შორის: იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამოქალაქო რეესტრში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, სანოტარო ბიუროში, არქივში, საგადასახდო ინსპექციაში, მერიაში, არქიტექტურაში, გამგეობაში, საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, ყველა ადმინისტრაციულ ორგანოში„ ყველა კომპეტენტურ ორგანოებში, **შეაგროვოს ყოველგვარი დოკუმენტაცია და წარადგინოს მოთხოვნის ადგილზე, გადაიხადოს ყოველგვარი გადასახდი. ამასთან დაკავშირებით აწარმოოს კანონით ნებადართული ყველა საჭირო ქმედება. ჩემს მაგივრად მოაწეროს ხელი და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესასრულებლად.**
წინამდებარე მინდობილობა შედგენილია 3 (სამ) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ბ. სეხნიაიძის სანოტარო ბიუროს არქივში. დანარჩენი გადაეცათ მხარეებს. წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მე, ნოტარიუსმა ბესიკ სეხნიაიძემ, მიმნდობმა მოიწონა მინდობილობა და პირადად ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი მას.
მინდობილობა გაცემულია 2 (ორი) თვის ვადით და ძალაშია 2012 წლის 2 აპრილის ჩათვლით.
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10 (ათი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ დადგენილების 31-ე მუხლის მე-7 პუნქტისა, + 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) დღგ + 2 (ორი) ლარი რეგისტრაციის საფასური.

მიმნდობი _____

ნოტარიუსი: ბესიკ სეხნიაიძე